საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

უკანასკნელი ცნობები

ბერლინში სოც.-დემ. უმრავლესობა მოითხოვს სპარტაკელების კომიტეტის მოსპობას და ლიბკნეხტის შეპყრობას.

სპარტაკელები მოითხოვენ ჰინდენბურგის, კანცლერის და სხვათა შეპყრობას.

გერმანიის ეროვნულ კრებამ გერმანიაში რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა შესვლა აკრძალა.

პრეზ. ვილსონი მონაწილეობას მიიღებს საზავო კონფერენციაში, რათა თვისი 14 მუხლი, ცხოვრებაში გასატარებლად თვითონ წამოაყენოს.

ინგლისელთა და ფრანგ-ბელგიელთა კომისია ბერლინს ჩავა.

მოკავშირეებს განუზრახავთ ბერლინში თვისი ჯარები ზეიმით შეიყვანონ.

ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის საზღვაო ხელშეკრულობა იდება.

ოდესაში [illegible] მღელვარებაა.

ალექსანდრე, კონსტანტინე და არჩილ ნიკოლოზის ძენი, ბარბარე ზაქარიას ასული, ოლღა გიორგის ასული და თამარ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-დავითიშვილები შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობისა გამო პირველნის და მეორენის საყვარელი რძლის და მესამენის ძალუის

ელიჩკას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზედ საკუთარ ბინაზედ მეორე პარალელი ქუჩა № 11. დაკრძალვა გამოცხადდება ცალკე.

1 1943—1

გიორგი ნიკოლოზის ძე და მისი შვილები თინათინა და ქეთევან გიორგის ასულნი ბაგრატიონ-დავითიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო პირველის საყვარელის მეუღლის და მეორენის უძვირფასესი დედის

ელიჩკას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზედ მეორე პარალელური ქუჩა № 11. დაკრძალვა გამოცხადდება ცალკე.

1—1943—1

კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი

კონსტანტინე დავითის ძე

ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ძმა ალექსანდრე (საშიკო) და ელენე დავითის ძე, რძალი მარგალიტა ანტონის ასული, ძმისწულები იზა და ციცინათელა ფალავანდიშვილები, დისწულები მარიამ, ნინა და თამარა ნიკოლოზის ასულნი ფიცხელაურები. დასაწყისი შუადღის 1 საათზე.

1946 1—1

მარიამ ქაიხოსროს ასული, თალიკო ვასილის ასული, ლიზა გიორგის ასული, მიხეილ, შალვა და იაშა ტატიშვილები, ნადეჟდა კოსტანტინეს ასული სარაჯიშვილისა და თამარა კოსტანტინეს ასული თოფურიასი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 12 ქრ. დილის 9 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი პირველის მაზლის წული და დანარჩენების ბიძაშვილი

ელენე პავლეს ასული

ბაგრატიონ-დავითიშვილისა.

პანაშვიდი შაბათს საღამოს 7 საათზე საკ. ბინაზედ 2-რე პარალელი ქუჩა № 11. გამოსვენება კვირას 9-ნახევარ საათზედ სახლიდან ქვაშვეთის ეკლესიაში.

2—1950—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დავით ვასილის ძე და ლიუდმილა ედუარდის ასული სიდამონ-ერისთავნი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი შვილი პირველთა და და უკანასკნელთა

ლიუდოჩკა

პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული ცალკე.

1—1946—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ერასთი ივანეს ძე ჭავჭანიძე შვილებით, მიხეილ და კოსტანტინე (კოკი) და დედა ლიზა იოსების ასული კოპაძესი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა (10 საათზე) და პანაშვიდი (12 საათზე) უდროოდ გარდაცვალებულის

ნინა გრიგოლის ასული

ჭავჭანიძესი.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

შაბათს, 14 ქრისტეშობისთვეს ბ. ი. ზალიპსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად, ალეშკოს, იანსას, მოროზოვის, ზალიპსკის, ბრონსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით:

პიკის ქალი

გერმანის როლს შეასრულებს ზალიპსკი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ✦ ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.

ქართული კლუბი

დღეს, 14 ქრისტეშობისთვეს მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი ჰმართავს 3 განყოფ.

ლექციას ქართულ მუსიკაზედ და კონცერტს

დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთები [illegible] თეატრის კასაში.

დასაწყისი 7 ნახ. საათზე. ✦ გამგე ნ. კავსაძე.

ქ. ქუთაისი კვირა, 15 ქრისტეშობისთვე

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

გაიმართება

საზოგადო კრება

მომხსენებელნი არიან:

პარლამენტის წევრნი: კედია სპირიდონ
მაჭავარიანი იოსებ

განმეორებითი თავდასხმა

საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე ამ ორი თვის წინად არარატის რესპუბლიკის ჯარმა ჩვენი სახელმწიფო საზღვარის გადმოლახვა რომ მოიწადინა, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი მთავრობას გადაჭრილ ზომების მიღებას ურჩევდა, რათა ერთხელ და უკანასკნელად აღკვეთილიყო სომხეთის გადაჭარბებული ტერიტორიული პრეტენზიები.

მთავრობა და აგრეთვე პოლიტიკური ხელმძღვანელებიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ ამხედრება გამოწვეულია დაშნაკცუტიუნის თაღლითობით, ხოლო სომხის ხალხი, მისი დემოკრატია ყოველივე ამგვარ განზრახვების გარეშე სდგას და საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ გამოილაშქრებსო.

ქართველ სოციალისტებს ღრმად სწამდათ „სომხის დემოკრატიის“ მშვიდობიანი მიდრეკილება და ამიტომ განიზრახეს კონფერენციის მოწვევა ჩვენს დედაქალაქში, რომ სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად სომხეთთანაც მშვიდობიან და დიპლომატიური გზით დაგვემთავრებინა გამწვავებული დავა ტერიტორიისა და საზღვრების საბოლოო ამოხაზვის თაობაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, „სომხის დემოკრატია“ არ გამოცხადდა კონფერენციაზე და პარლამენტის საშუალებით აცნობა საქართველოს მართებლობას, რომ სადავო საკითხების გადაჭრას მთელი სომხეთი სხვა მხრითა და ღონის-ძიებით მოელის.

მას შემდგომ პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. საერთაშორისო სფეროში ახალი ძალის ჰეგემონია დამკვიდრდა. ცენტრალური ევროპის კოალიცია ტიტანიურ ბრძოლაში დამარცხდა და ომის მიერ აღძრულ სახელმწიფოებრივისა და ნაციონალური პრობლემის გადაწყვეტა ბედმა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკას არგუნა.

ეს გარემოება საქართველოს უამრავ მტრებმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს და ქართველი ხალხი შეთანხმების სახელმწიფოთა მოწინააღმდეგების ბანაკში ჩარიცხეს. მტრებმა, რასაკვირველია, უწყიან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას პირდაპირი კავშირი არა აქვს საერთაშორისო მდგომარეობის ცვალებადობასთან, მაგრამ უპატიოსნო მტრისათვის ყოველივე საშუალება მისაღებია, ოღონდ მისგან ათვალისწინებულ სახელმწიფოს სახელი გაუტეხოს...

სომხების აგრესსიულ პოლიტიკამ განსაკუთრებული მიმართულება მიიღო იმ დღიდან, როცა გენერალ ტომსონის საეკზეკუციო რაზმი ბაქოს ნავთსადგურს მიადგა.

ანგარიშ აბნეულ სომხის პოლიტიკოსების რწმენით, ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთისა და, მაშასადამე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი ალბად დაჯერებულნი არიან იმაში, რომ ტომსონი ხელს შეუწყობს status quo in ante-ს აღდგენას ერთის გამონაკლისით, რომ რესტავრაციის მოხდენა უსათუოდ ჰგულისხმობს „დიდი სომხეთის“ გაერთიანებას „დიდი რუსეთის“ მფარველობის ქვეშ!

სომხებმა კარგად იციან ისიც, რომ შეთანხმების სახელმწიფონი „წონასწორობის დამყარებას“ შეუფარდებენ პრეზიდენტ ვილსონის პროგრამას, რომელიც ეჭვის დაუბადებლად მოითხოვს ერთა თვითგამორკვევის განხორციელებას და ამ საფუძველზე სახელმწიფო წყობილების შესაძლებლობას სომხებმა, ალბად, ისიც იციან, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ტრადიციის ქვეყნები ქართველი ერის უსამართლო დასჯასა და დამონავებას არ მოისურვებენ, რადგანაც ამ სახელმწიფოთათვის იურიდიულ და საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე საქართველოს სუვერენიტეტის საკითხი საკმაოდ გამორკვეულია და მიღებული. იმასაც შეიტყობდნენ სომხები, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის რვა სახელმწიფოსაგან შეწყნარებულია და ობიექტიური საბუთები გვაიმედოვნებენ, რომ ამავე გზას დანარჩენი სახელმწიფონიც დაადგებიან.

მაგრამ დაშნაკცუტიუნის ქვეყანას მაინცა ჰსურს საქართველოს განადგურება და ამ მიზნისთვის საჭირო ზომებს მიჰმართავს. სომხის პრესა და არა ლეგალური, თუ ლეგალური დიპლომატია აქამომდე იმის ცდაში იყო, რომ ინგლის-საფრანგეთისათვის დაემტკიცებინა საქართველოს გერმანოფილური განწყობილება, მაგრამ, ცხადია, მათმა მაბეზღრობამ ვერ გასჭრა. უკანასკნელ დროს სომხის გაზეთებმა მოუხშირეს წერა საქართველოს იმპერიალისტობაზე: საქართველო თავის ჰეგემონიას ამყარებს ამიერ-კავკასიაში, იპყრობს [illegible], რაც უფრო საშინელია, ლორე და ბამბაკი,—გაჰკივიან სომხური გაზეთები!..

ინგლისელების შემოსვლისთანავე სომხეთმა „ოთხივ მხრივ“ ირრედენტა გამოაცხადა. „ნორ-ჰორიზონ“-ის ინსპირატიული წერილის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და „ირრედენტისათვის“ სომხეთმა ბრძოლაც გამოაცხადა... სანაინთან პირველ ზარბაზანმა კიდეც იჭექა!

„სომხის დემოკრატიის“ საქართველოსადმი „მეგობრულ“ განწყობილების საბუთები დღითი დღე მრავლდება. ჩვენ არ ვიცით, რასა ჰფიქრობს არარატის რესპუბლიკის „დემოკრატია“ კაჩაზნუნის მთავრობის უკანასკნელ აქტზე, მაგრამ ის გარემოება კი აშკარაა ჩვენთვის, რომ მთელი სომხობა მას ზურგს უმაგრებს და ამოქმედებს.

სამშვიდო კონფერენციის ნაცვლად სომხეთმა იარაღით მოიწადინა საზღვრების საკითხის გადაჭრა. საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან სომხეთმა შეთანხმება უარჰყო და განმეორებით ააჟღარუნა იარაღი. პირველად მას „ნახტომი ვერ მოუვიდა“ და შერცხვენილი უკუ იქცა. ჩვენ გვჯერა, რომ ამ შემთხვევაშიაც ქართველი ერის ერთსულოვანი გარდაწყვეტილება ძველ გზას უჩვენებს წათამამებულ მტერს.

რ. ინგილო.

გერმანიის დანგრევა და რუსეთის ბედი

1871 წელს პრუსიის მეფე ვილჰელმ პირველი გერმანიის იმპერატორად იქმნა გამოცხადებული ვერსალში. ამ აქტით დასრულდა გერმანელთა გაერთიანება და დაიწყო ისტორია ახალი მსოფლიო ძალისა, რომელიც იშვა შემდგომ მეორე ძალის საფრანგეთის —დამარცხებისა და დასუსტებისა.

1915 წელს ამავე ვერსალში შემუშავდა და დამტკიცდა გეგმა გერმანიის იმპერიის დაშლისა, რაიც შესრულებულ იქმნება მომავალ წელს ისევ ვერსალში, სადაც ალბათ შეიკრიბება საზავო კონფერენცია. ეს საიდუმლო აქტი ჯერ გამოცხადებული არ არის, მაგრამ მისი ერთი ნაწილი შარშან გამოაქვეყნა „ბოლშევიკთა“ მთავრობამ. ეს აქტი ხელმოწერილია მეფე ნიკოლოზის მთავრობისა და საფრანგეთის წარმომადგენლის პოლ დუმერგის მიერ, მასში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ რუსეთი თანახმა იქნება, რომ საფრანგეთმა შეიერთოს ელზას-ლორენი და რეინის მთელი მარცხენა ნაპირი.

ეს არის სარკმელი ვერსალის აქტისა, რომელიც თანდათან ცხადდება მის წაუკითხავადაც. მას შეიძლება ბევრი რამე დაერთოს, მაგრამ მისი დედა აზრია გერმანიის იმპერიის დაშლა, რაც ხორცს ისხავს კიდეც. მოკავშირეთა ყოველი ნაბიჯი ამ იდეას უმიზნებს და მისი მიღწევა რამდენიმე თვის საქმეა.

დააკვირდით ამ ნაბიჯების აზრსა და ხასიათს. გერმანიამ იარაღი დაჰყარა, სავსებით შეასრულა მორიგების პირობები და ამ ჟამად ითხოვს საჩქაროთ კონფერენციის მოწვევას და ზავის დამყარებას, მაგრამ მოკავშირენი არ ჩქარობენ და კონფერენციის მოწვევას ექვსი თვის შემდეგ ჰპირდებიან. მიზეზი დაგვიანებისა უბრალოა: მათ ჯერ უნდა განახორციელონ მომავალი ზავის პირობები და შემდეგ მოაწერონ მას ხელი. თითქმის ყოველთვის ასე ყოფილა: დამარცხებული ადასტურებს შესრულებულს, ვინაიდგან მას არ შე- [illegible] fait accompli-ს დარღვევა. [illegible] კავშირეებს? ისინი ჰკრავენ და [illegible] ავსტრო-გერმანიას, უკანასკნელ იარაღს ჰყრიან, შლიან, ატიტვლებენ, უკანასკნელ ლუკმას ართმევენ და ათასი სოლით აპობენ მის მთლიან ორგანიზმს. მათ უკვე დაარღვიეს მორიგების პირობები და რეინი გადალახეს. თითქმის ყოველ დღე გვესმის ახალ-ახალი პირობანი მომავალ ზავისა: გერმანელს აეკრძალა ინგლისის ტერიტორიაზე გადასვლა, გერმანიამ უნდა გადაიხადოს 20 მილიარდი მანეთი ოქრო, მისი კოლონიები უნდა გადაეცეს ინგლისს, მას უნდა წაერთვას სავაჭრო ფლოტიც და... უნდა ყველგან მოისპოს რეკრუტის სისტემა, რასაც ის აზრი აქვს, რომ მთელი მსოფლიო უნდა დაემორჩილოს დრედნოუტებით შეიარაღებულ კუნძულებს, ესე იგი ანგლო-საქსონელებს.

მოკავშირენი ყოველ ღონეს ხმარობენ რომ გააჩაღონ გერმანიაში სეპარაციისა და დაშლის ცეცხლი: sauve qui peut!

მათთვის ყოვლად შეუძლებელია, რომ ავსტრია შეუერთდეს გერმანიას. კათოლიკური ბავარია უნდა ჩამოეცალოს პროტესტანტულ პრუსიას. მას მიჰბაძავენ ბადენი, ვიურტენბერგი, ჰესენი, საქსონია. ავსტრო-უნგრეთი უკვე დაიშალა, ხოლო გერმანიის მთავრობის მთავარი საზრუნავი გახდა სახელმწიფოს მთლიანობის შერჩენა. მოკლედ რომ ვსთქვათ, რუსეთის დაშლის ისტორია გერმანიაში იწყება და ალბათ დასრულდება კიდეც, რადგან არ არსებობს მისი შემჩერებელი ძალა.

დასასრული ამ უძლეველ პროცესისა ის იქნება, რომ ნაცვლად ავსტრია-გერმანიისა შეიძლება მალე დამყარდეს ოციოდე დამოუკიდებელი და დამოკიდებული მცირე ერთეული. ეს არის მუდმივი ნატვრა საფრანგეთისა და ისტორიული მისია ფრანგთა ეხლანდელ თაობისა; ეს არის გუმბათი ოთხი წლის ომისა და ერთად-ერთი საძირკველი დასუსტებულ საფრანგეთის გაძლიერებისა, აღდგენისა და დაკარგული პირველობის დაბრუნებისა ევროპის კონტინენტზე. რაც შეასრულა ნაპოლეონ პირველმა და დაჰკარგა ნაპოლეონ მესამემ, ის უნდა აღადგინოს და დაამკვიდროს მარშალმა ფოშმა. თუ გერმანია არ დაქუცმაც-

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას!

და, საფრანგეთს წილი არ უდევს გამარჯვებაში, იგი ვერ დაიმკვიდრებს პირველობას კონტინენტზე, იგი ვერ დაიძინებს მშვიდათ და რამდენიმე წლის შემდეგ მას ისევ აეტუზება თვალწინ საზარელი ლანდი გერმანიის საფრთხისა, ახალი ომისა განადგურებისა და დაქვეითებისა. ყვავილი მისი დიდებისა, ბედნიერებისა და მომავლისა მხოლოდ გერმანიის საფლავზე შეიძლება ამოვიდეს. ინგლისი ბოლომდის მხარს დაუჭერს ამ საქმეში საფრანგეთს და დაიმკვიდრებს პირველობას მთელს ქვეყანაზე.

ვინ გადუდგება წინ, ვინ შეუშლის ხელს ორს უდიდეს ძალას? ვინ არის დაინტერესებული, რომ ამ ქვეყანაზე მომქმედ ძალთა შორის არ მოისპოს ერთი დიდი ძალა—გერმანია, რომ შუა ევროპაში არ დარჩეს ცარიელი ადგილი?

ჩვენის აზრით, ამაში კი ამერიკა არ არის დაინტერესებული, რადგან გერმანია ძალიან შორს არის წყნარ ოკეანედან, სადაც შეიძლება მალე გადაწყდეს ამერიკა-იაპონიის დავა. ამერიკისთვის უფრო საჭიროა ძლიერი და მახლობელი რუსეთი, ვიდრე შორეული გერმანია, რომელსაც უეჭველად ჩამოართმევენ ფლოტს და დაუხშობენ ზღვას. ძლიერი და გაერთიანებული გერმანია უფრო საჭიროა იაპონიისთვის, მაგრამ მას ამ საქმეში არ ექნება გავლენა.

რუსეთი?.. იგი სათვალავში არ არის ჩასაგდები, თუმცა ცხადია, რომ ძლიერი გერმანია მალე მისთვის უფრო საჭირო იქნება ვიდრე სხვისთვის და ჩვენ კიდევ მოვესწრობით იმ დროს, როცა რუსეთი ინანებს გერმანიის დაშლასა და დანგრევას. ეხლა მას ხვალინდელ პოლიტიკისთვის არ სცალიან. რუსეთის გამთელება და ბოლშევიკურ ჯოჯოხეთის ჩაქრობა— აი ერთად-ერთი ნატვრა დღევანდელ პოლიტიკურად მოაზროვნე რუსეთისა.

მოკავშირენი ცდილობენ რუსეთის აღდგენას. მაგრამ ვის და რად სჭირია მთელი და ძლიერი რუსეთი? თუ მოკავშირეთ უნდათ მხოლოდ თავიანთი 60 მილიარდის გახალდება, ადვილად გაისალდებენ, ვინაიდგან უფრო ადვილია მცირე ერთა დამორჩილება ეკონომიურად ვიდრე დიდი რუსეთისა, რომელიც ასე ადვილად არ გაჩერდება უღელში და არ გასწევს მას ასიოდე წელიწადს, სანამ გადაიხდიდეს უთვალავ ვალს. ცხადია, რომ რუსეთის გამთელება მარტო ვალის გადასახდელად არ სჭირიათ მოკავშირეებს. დიდი და ძლიერი რუსეთი ინგლის-საფრანგეთს უფრო მომავალ გერმანიის საწინააღმდეგოდ ესაჭიროებათ, ხოლო ამერიკას—იაპონიის საწინააღმდეგოთ. იგი უნდა სდარაჯობდეს ორივეს: გერმანიას და იაპონიას, რომელნიც ადრე თუ გვიან წაედავებიან რომანელებსა და ანგლო-საქსონებს. ამ დიდ ძალთა ბრძოლაში ხვალინდელი რუსეთი ერთი და იმავე დროს საწველი ფურიც იქნება და მოჯიდავე ყოჩიც: მას 60 მილიარდი უნდა გამოსწველონ, ხოლო გაჭირვებისას უნდა დაატაკონ ან გერმანიას, ან იაპონიას, ან კიდევ ერთსაც და მეორესაც. მხოლოდ ამისათვის უნდათ მისი წამოყენება და გაძლიერება. ეს როლი რუსეთმა ერთხელ უკვე შეასრულა: 1904 წელს იგი დაეტაკა იაპონიას, ხოლო 1914-ში—გერმანიას. მომავალშიაც იგი აღმოსავლეთში ამერიკის ხარჯით უდარაჯებს იაპონიას, ხოლო დასავლეთით ინგლის-საფრანგეთის ხარჯით თვალს დაიჭერს გერმანიაზე.

მაგრამ თუ გერმანიის იმპერია დაიშალა, დაქუცმაცდა და დაუძლურდა, აღარც ძლიერი რუსეთია საჭირო ინგლის-საფრანგეთისათვის. რამდენადაც დასუსტდება გერმანია, იმდენადვე იკლებს ინგლის-საფრანგეთისათვის საჭიროება ძლიერი რუსეთისა, რომელიც ადრე თუ გვიან მათთვის სახიფათო ძალად გადიქცევა, ამიტომ თუ გერმანია ძალიან დასუსტდა, რუსეთს გამთელიერებელი ხელი დაეკარგება, ხოლო თუ გერმანია გადარჩა, რუსეთსაც აღადგენენ და მოაბრუნებენ. აქ იკვანძება რუსეთ-გერმანიის ინტერესთა ერთობა, მათი იდეალი კავშირი. რაც შეეხება ამერიკას, რუსეთის დასუსტება სამხრეთით და დასავლეთით არ არის მისთვის საზარალო. პირიქით, თუ რუსეთს ეს გზები შეეკრა, იგი აღმოსავლეთისკენ მიბრუნდება. ამერიკასაც ეს უნდა.

დასკვნა: 1) ინგლისი და საფრანგეთი შლიან და ალბად დაშლიან კიდეც ავსტრია-გერმანიას ოციოდე მცირე და სუსტ ერთეულად; 2) თუ ამ მიზანს მიაღწიეს, მათთვის საჭირო აღარ არის დიდი და ძლიერი რუსეთის აღდგენა; 2) ასეთი რუსეთი სახიფათო იქნება ინგლისისათვის სპარსეთისა და ავღანეთის საზღვრებზე, ხოლო საფრანგეთს ევროპაში პირველობას შეეცილება, ამიტომ ექვსი თვის შემდეგ ვერსალში მოკავშირენი სულ სხვა კილოთი ილაპარაკებენ შესახებ დიდი რუსეთის აღდგენისა, ვიდრე ეხლა ლაპარაკობენ.

მ. ადამაშვილი.

ერთა თვითგამორკვევა

სარაევოში მომხდარი მკვლელობის შემდეგ, ვიდრე პირველად თოფი გავარდებოდა საშინელ ომისათვის ერთმა თვეამ განვლო. ამ დროს განმავლობაში განუწყვეტელი დიპლომატიური მოლაპარაკება იყო ავსტრია-ჰუნგრეთის იმპერიასა და სერბიის შორის. ეს მოლაპარაკება იმითი დაბოლოვდა, რომ ავსტრიის იმპერიამ გამოუცხადა სერბიის მთავრობას: დაითხოვეთ თქვენი მეფე და შემოუერთდით ავსტრო-უნგრეთს; იმპერია თქვენ შემოგიერთებთ, ბოსნიას ჰერცოგოვინას, ხოვატიას და შექმნის მესამე სახელმწიფოს უნგრეთის მსგავსად; ამ გვარად ავსტრო-უნგრეთის იმპერია შეიქნება სამ სახელმწიფოსაგან შემდგარ ერთ იმპერიად. სერბეთის ერის ხელმძღვანელთ დიდი ბჭობისა და თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მეზობელ იმპერიისათვის შეეფარებია თავი მათ ერს, ვინემ შეენარჩუნებია დამოუკიდებელი, მაგრამ ავსტრიელებისაგან შევიწროებული ცხოვრება საკუთარ საბრალო სახელმწიფოში.

ყველამ უწყის, რომ სერბიას ზღვაში გასავალი არ ქონდა და მისი უცხოეთთან ვაჭრობა ავსტრიელების ქეიფისაგან იყო დამოკიდებული სტრატეგიულადაც სერბია არ იყო უზრუნველყოფილი. ამ გაჭირვებამ გამოიწვია სერბიელების გადაწყვეტილება, [illegible] ასე არ მოხდა იმიტომ, რუსეთისას, და იქიდან შემოუთვალეს, რომ რუსეთი მხარს [illegible], და სერბიამ არაფერი არ უნდა დაუთმოს ავსტრო-ჰუნგრეთსაო, ამას მოჰყვა ომი.

ამ მაგალითიდან ცხადია, რომ ერთა თვითგამორკვევა ზოგჯერ მის ხელმძღვანელთ აიძულებს თავისი დამოუკიდებლობა დასთმონ და სხვის სახელმწიფოს შეაფარონ თავი.

საკუთარი სახელმწიფოს უქონლობა სრულებით არ ნიშნავს ერისათვის თავისი ნაციონალური ინდივიდუალობის დაკარგვას, მისი ისტორიის წაშლას, და მისი კულტურის განვითარების მოსპობას. ისტორია სრულებით უზრუნველყოფილია მეცნიერებისაგან, ხოლო რაც შეეხება ნაციონალური კულტურის განვითარებას, ამისათვის არსებობს სახელმწიფო სამართალი და კანონმდებლობა.

ძველად აბსოლიუტური სახელმწიფოს მიერ შთანთქმული იყო ადამიანის პიროვნება, მაგრამ აწინდელმა სახელმწიფო სამართალმა იცის hadeas corpus act.., პიროვნების უფლების დასაცავად. ასეთივე habeas corpus act... შეიძლება გამოიმუშავოს ნაციისათვის იურიდიულმა მეცნიერებამ და პოლიტიკამ.

სარაევოს მკვლელობას და სერბიის პასუხს ავსტრიის მიმართ მოყვა ომი, მაგრამ ომის მიზეზი უფრო ელზას-ლორენი იყო.

1871 წ. პრუსიამ საშინლად დაამარცხა საფრანგეთი და მოთხოვა ელზას-ლორენის პროვინცია.

საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი გამოაცხადა იმ საბუთით, რომ ელზას-ლორენის მცხოვრებთ არ სურთ პრუსიასთან შეერთებაო, და მოითხოვა რეფერენდუმი. სწორედ დღემდე რეფერენდუმი ერთად ერთი საშვალებაა ერთა თვითგამორკვევის საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ პრუსიამ უარჰყო რეფერენდუმი. შეიძლება ელზას-ლორენის მცხოვრებთ რეფერენდუმი მართლა საფრანგეთის სასარგებლო ყოფილიყო მაშინ, მაგრამ ისტორიამ სხვაფრივ გადასწყვიტა საკითხი და ვინ იცის იქნება ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმ საშინელი ომისა, რომლის მოწამეც ჩვენ გავხდით.

დღეს ელზას-ლორენის საკითხი კვლავ წამოყენებულია და არა ნაკლებ მწვავედ. დღეს რეფერენდუმს მოითხოვს გერმანია და არა საფრანგეთი და შეიძლება გერმანია ცდებოდეს; შეიძლება ეს რეფერენდუმი მის სასარგებლოდ მოხდეს, რადგან ელზას-ლორენი შეეჩვია გერმანიის ბატონობას და ავტონომიის მიღების შემდეგ შეითვისა მისი კულტურა. შეიძლება, მაგრამ ვინ გაუშვებს ელზას-ლორენს სარეფერენდუმოთ? ვინ მისცემს უფლებას ერთ მუჭა ხალხს, რომელიც ორ მილიონს არ აღემატება, თავის რეფერენდუმით გადასწყვიტოს სვებედი მთელი ევროპისა, ამერიკისა და აზიის.

ელზას-ლორენში არის სტრასბურგი და მეცი; ამ ციხეებს ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, რომ მთელ ევროპას ემუქრებიან პირენეის მთებიდან ვიდრე ბალტიის ზღვამდე. ამას დაუმატეთ ლორენის მდიდარი რკინის მადნები. აი ამ გარემოებამ მისცა ძალა და საშვალება გერმანეთს შებრძოლებოდა მთელს ევროპას და ამოეწყვიტა 20 მილიონი ხალხი, სხვისი და თავისი, და გაენადგურებია და გაეღატაკებია მთელი ევროპა. საფრანგეთი არ იყო საშიში ამ მხრივ, თუნდაც მას ქონოდა ელზას-ლორენსი, რადგან ფრანგები მცხოვრებთა რიცხვით ბევრათ ნაკლებია გერმანელებზე, არ მრავლდებიან და ამიტომ არ ეწევიან ისეთ აგრესიულ პოლიტიკას, როგორსაც ეწევა გერმანეთი.

დღესაც საკითხს გადასწყვეტს არა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, არამედ ევროპის სწორ-წონიანობის მოთხოვნილება.

ყოველ შემთხვევაში უსამართლობა იქნებოდა ორი მილიონი ხალხის სურვილის შესრულებით საშიშროებაში ჩააგდონ 20—30 მილიონი ხალხის სიცოცხლე და დიდებულ ერთა და სახელმწიფოთა კეთილდღეობა.

საუკუნოებით იბრძვის ირლანდია თავისი ნაციონალური უფლებისათვის, ინგლისის საუკეთესო პოლიტიკური მოღვაწენი ლიბერალური ბანაკიდან მათ ეხმარებოდნენ, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ დროს ასკვიტის კაბინეტმა მოახერხა ჰომრულის პალატაში გატარება. მაგრამ ირლანდიის ავტონომიის განხორციელებას იმავე პრინციპმა შეუშალა ხელი, რომელზედაც იყო დამყარებული ირლანდიის მოთხოვნილება,—ირლანდიაში ჩასახლებულ ოლქების გამოყოფა ირლანდიის ავ[illegible] თვითგამორკვევის უფლებით. ყველას ახსოვს ულსტერის აჯანყება ვარსონის მეთაურობით. ამას მოჰყვა ომი, რომელმაც დროებით შეაჩერა ჰომრულის განხორციელება.

აქედან ცხადია, რომ ამ პრინციპს ფრთხილად უნდა მოპყრობა, მას შეუძლია ვნება მოუტანოს საქმეს. ულსტერმა თავისთვის ვერა მოიგო რა და ირლანდიის ავტონომია ჩაშალა.

ფინლანდიაში ორი ათასი შვედია, და ამათ ფინლანდიის საქმე არივ-დარიეს.

ბ. გამსახურდია.

პრესსა

„აშხატავორი“ საქართველოს შესახებ.

„აშხატავორი“ (№ 205, 12 ქრისტეშობისთვე) შემდეგ მეთაურს უძღვნის საქართველოს მთავრობის პოლიტიკას ლორისა და ბორჩალოს მაზრების სომხებით დასახლებულ ადგილებში:

„საქართველოს მთავრობამ რომელმაც დაიჭირა ლორისა და ბორჩალოს სომხებით დასახლებული ადგილები იმ გარემოების ანგარიშ გაუწევლად, რომ სომხეთის რესპუბლიკა ამ ადგილებს თავის უეჭველ ტერიტორიად სთვლის, უკანასკნელ ხანებში გამოსცა განკარგულებათა მთელი რიგი რომელნიც სრულიად არღვევენ ამ კუთხის ბინადართა მშვიდობიან ცხოვრებას.

რადგან საქართველოს მთავრობა ამ ადგილებს საქართველოს ტერიტორიად სთვლის, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინსტრუქცია მისცა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ იქაც მოახდინონ საქართველოში გამოცხადებული მობილიზაცია. და აი ამ ნიადაგზე დაიწყო ძალმომრეობათა მთელი რიგი, ადგილობრივი ბინადარნი არ სთვლიან თავის თავს საქართველოს ქვეშევრდომებად და ცდილობენ თავიდან აიცილონ ეს ვალდებულება, ხოლო მთავრობის მოხელენი ყოველივე ღონეს ხმარობენ რომ ძალით აიძულონ ისინი დაემორჩილონ ამ მოთხოვნილებას. ამასთანავე იარაღის ჩამორთმევისა და სხვადასხვა სურსათის ჩამორთმევის მომიზეზობით განუსაზღვრელი ძარცვა-გლეჯა სწარმოებს. ნახევრად მშიერი მოსახლეობა იძულებულია უკანასკნელი მარცვალი პური, თავისი ცხენი და თივა, თავისი ჯოგი „ჩაბაროს“ სადაც ჯერ არს.

ასეთ პირობებში ჩვენ სრულიად არ გვეეჭვება რომ ამ ოლქებში ექსცესები და სხვა კონფლიქტები აუცილებელი გახდება.

მთავრობა ვალდებულია, რომ სანამ ამ ადგილების მცხოვრებლებისაგან რაიმეს მოითხოვდეს, გამოარკვიოს მათი უფლებრივი მდგომარეობა, ის ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მკვიდრთა სულიერ განწყობილებას. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენ ს.-დემოკრატიულ მთავრობას არ უნდა დაჰვიწყებოდა ისტორიის გაკვეთილები და ხსომებოდა, რომ შეუძლებელია ხალხის მართვა-გამგეობა წინააღმდეგ ხალხის ნებისა.

აი თუ რატომ ვფიქრობთ ჩვენ რომ სანაინის მიდამოებში „ბრბოების“ მიერ მატარებლების ჩაქოლვა, ჯარის კაცთა დაჭერა, შეხლა-შემოხლა და სხვა, ყოველივე ეს ნაყოფია მთავრობის შემცდარი პოლიტიკისა და მთელი პასუხისმგებლობა ამისთვის მთავრობას აწევს კისერზე.

აუცილებელია საზღვრების საკითხის გადაჭრამდე მოსპობილ იქნას ყოველგვარი რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია და შეჩერებულ იქმნას ამ ოლქებში მობილიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა იძულებული იქნება დიდი ენერგია შეალიოს ამ ადგილებში ანარქიის ჩაქრობას, რაც, ვგონებთ, დღევანდელ პირობებში მაინცა და მაინც სასარგებლო არ უნდა იყოს ჩვენი (რომელი თქვენი: „აქ თუ იქ“. მეპრესე) რესპუბლიკის ინტერესების თვალსაზრისით“.

ამნაირად გაზეთი გვარწმუნებს, რომ ბორჩალოსა და ლორის სომხობა არ სცნობს თავს საქართველოს ქვეშევრდომად და აპირობს განდგომას და ვითომც ხალხის ამ სულიერ განწყობილების ნაყოფია სანაინის ამბები. ჩვენ კი გვგონია რომ სომხის ხალხის სახელით ლაპარაკს ჩვეული ხოლო ყოველთვის ამ ხალხის საზარალოდ მომქმედი „დაშნაკცუთუნის“ ორგანო უფრო ამ პარტიის ავანტიურისტულ სულისკვეთებას ამჟღავნებს.

ასე მზადდება ომი სანაინთან, დაშნაკელები ზედისწრას აუტანიათ. ალბათ საქართველოს მთავრობა შესძლებს ერთხელ და სამუდამოთ დააჩუმოს ეს ხალხი, მუდამ ომით დიხიანი ნამდვილ ომზე უარესია!..

⁂

„აშხატავორი“ მომავალ კონფერენციის შესახებ

ერთი და მთლიანი სომხეთის შესახებ.

„აშხატავორი“ (№ 203) მეთაურ წერილს უძღვნის სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხს. დაშნაკელების ორგანო დიდ იმედებს ამყარებს მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე რომელმაც ყველა ჩაგრულ ერებს უნდა მიანიჭოს თავისუფლება, მაგრამ უპირველესად ყოვლისა კი სომხეთი უნდა იხსნან ოსმალეთის „იათაგანებისა და უღლისაგან“ რადგან ოსმალეთი „სისტემატიურად და მეთოდიურად“ ჟლეტს სომხებს და ფიზიკურ მოსპობას უქადის მთელს ერს. სომხეთის უპირველესად ყოვლისა სიცოცხლე სურს და მხოლოდ შემდეგ შეუძლია თავისუფალ და კარგ ცხოვრებაზე ფიქრი და მისთვის ოსმალურ-მონღოლურ უღლიდან განთავისუფლება ნიშნავს განთავისუფლებას ოსმალეთის **დამოკლეს მახვილისაგან** (ხაზ. აშხ.) რომელიც მის თავზე ჰკიდია და მუდამ სიკვდილს უქადის მას“...

„უაღრესად შრომის მოყვარე და დემოკრატიულ სომხის ერს ფიზიკური არსებობა და კულტურულ-ეკონომიური მუშაობა შეუძლია მხოლოდ თავის სამშობლოში... ერთს, გამთელებულსა ანუ გაერთიანებულ, თავისუფალს და დამოუკიდებელს სომხეთში. თავისუფალი და უსათუოდ ერთი და მთლიანი სომხეთი, სომხის ერის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია, მისი კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების უზენაესი იტალია დღეს ოსმალეთის და რუსეთის სომხეთის სომხობა უნდა გაერთიანდეს და ერთი პოლიტიკური მთელი შეადგინოს თავისუფალი და დამოუკიდებელი...

დღეს მთლად და საბოლოვოდ, ან არასოდეს!

აწ უკვე შეუძლებელია ეს სასიცოცხლო საკითხი გადაუჭრელი და შეუსრულებელი დარჩეს, აწ უკვე შეუძლებელია ნახევრად დამოუკიდებელი განახევრებული და ნაკლულევანი სომხეთი ovredenta არსებობდეს:

სომხეთი უნდა იქნეს ერთი, მთლიანი, თავისუფალი დამოუკიდებელი... ამას იტყვის სომხის ერი“.

სანაინთან

საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოში 10 ქრისტეშობისთვეს გაიმართა საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს საგანგებო კრება, რომელზედაც ა. ერჩიკიანის მოხსენების მოსმენის შემდეგ სანაინის ამბების შესახებ, გამოტანილ იქმნა შემდეგი გადაწყვეტილებანი: 1) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სანაინში საქართველოს მთავრობის მიერ იგზავნება საგანგებო დელეგაცია შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის მახარაძის ხელმძღვანელობის ქვეშ, ვადგენთ რომ გაიგზავნოს ასეთივე დელეგაცია საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს მხრივაც, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა საქმის ვითარებას და მიიღებს ზომებს უკმაყოფილების დასაშოშმინებლად. 2) უნდა გადაიდგას აქტიური ნაბიჯები, რომ სომხეთის და საქართველოს მთავრობებმა საბოლოვოდ გადასწყვიტონ სადავო საკითხები საზღვრების შესახებ. შემდეგ არჩეულ იქმნა დელეგაცია, რომელიც დღეს, დილით, გაემგზავრა სანაინში.

ალავერდიდან სომეხთა ეროვნულ საბჭოს კონფლიქტის მოსაგვარებლად წასული დელეგაცია იუწყება: ჩვენ მშვიდობით ჩავედით ალავერდში, მისვლისთანავე მოვიწვიეთ ახლო მდებარე სოფლების წარმომადგენელნი მდგომარეობის გამოსარკვევად. გამოირკვა რომ, კონფლიქტს ადგილობრივი ხასიათი აქვს. იმედი გვაქვს კონფლიქტი მშვიდობიანათ მოვაგვაროთ. სომხეთის რესპუბლიკიდან წამოსული დელეგაცია გენერალ მდივანთან ერთად გზის უვარგისობის გამო მოემწყვდენ სად. კობერში. ვცდილობთ მათთან კავშირი ვიქონიოთ.

სომხეთ-საქართველოს ჯარების შეტაკება

გუშინ შესდგა საქართველოს პარლამენტის სხდომა. სამხედრო მინისტრმა გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობები სომხეთ-საქართველოს ჯარების შეტაკებისა სანაინთან.. გამოირკვა, რომ ჩვენს სანაპირო რაზმებს თავს დაესხნენ შეიარაღებული სომხები, რომელთაც მეთაურობენ რეგულიარული ჯარის აფიცრები. ჩვენის მხრიდან სხვა და სხვა ადგილას მოუკლავთ ორმოც კაცამდე. ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ სომხის ნაწილები [illegible] და ორგანიზაციულ შეტევას აწარმოებენ. ბრძოლა ამ ჟამად სწარმოებს.

დაწვრილებით ცნობები სამხედრო მინისტრის სიტყვა და საგარეო საქმეთა მინისტრის დეკლარაცია ჩვენი გაზეთის ხვალინდელ №-ში დაიბეჭდება.

ქრონიკა

◆ **თბილისის მასწავლებელთა კავშირის სხდომა.** ოთხშაბათს, საღ. 6 საათზე, მე-2-ე ქალთა გიმნაზიის შენობაში შესდგა თბილისის მასწავლებელთა კავშირის კრება დირექტორ ჰოლოშვილის თავმჯდომარეობით.

მოისმინეს წინა კრებაზე არჩეული კომისიის მოხსენება. მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობის შესახებ დაადგინეს დელეგაცია გაგზავნონ მთავრობისა და პარლამენტის თავმჯდომარეებთან. დელეგაციაში შედიან: ქალბატონი დრაგომირეცკაია, კ. პ. ასლანოვი, ა. გ. ფირცხალაიშვილი და დ. მ. დუმბაძე.

◆ **შეწირულება.** საქართველოს სამხედრო კავშირის კომიტეტმა სახალხო გვარდიას 1000 მანეთი შესწირა.

◆ **დეპეშები.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა საქართველოს ყოველ კუთხეებიდან მრავალი მისალოცი დეპეშები მიიღო.

◆ **მკვლელობა.** გუშინ, დღის 11 საათზე, შტაბის ქუჩაზე, სასტუმრო „ფრანციის“ წინ მილიციონერებმა შეამჩნიეს ორი საეჭვო პირი და მოინდომეს მათი შეპყრობა. ერთმა მათგანმა იძრო რევოლვერი და მილიციონერებს სროლა დაუპირა. მილიციონერებმა მოასწრეს და მოკლეს ერთი მათგანი. მოკლული აღმოჩნდა მანჯავიძე. მეორე კი გაიქცა.

◆ **ქურდობა.** 10 ქრისტეშობისთვეს ყიზილ-ხანუმ ედიგაროვის სახლიდან, ტატიანეს ქუჩა, 4, ბოროტგამზრახველებმა 23.990 მ. სხ. და სხ. ძვირფასი ნივთები მოიპარეს.

— 10 ქრისტეშობისთვეს ექიმ მ. არჯევანიძის სახლიდან სემიონოვის ქ. № 4, 5.000 მან. ნივთები მოიპარეს.

— 11 ქრისტეშობისთვეს ღამით რ. დავიდიანცის სახლიდან მიხაილოვის პროსპექტი № 76, 16.500 მ. სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები მოიპარეს.

◆ **ლექცია-კონცერტი.** დღეს, 14 ქრისტეშობისთვეს, [illegible] (ქართული კლუბი), მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი ჰმართავს 3 განყოფილებად ქართულ მუსიკაზედ ლექცია-კონცერტს. დასაწყ. სრულ 7-ნახევარ ს.

◆ **ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“.** ყოველ-კვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“ მესამე ნომრიდან გადიდებულ ფორმატით და განახლებულ რედაქციით გამოვა.

◆ **საღამო.** თბ. რეალურ სასწავლებლის ქართველ მოწაფეთა ორგანიზაციის მიერ განზრახული საღამო 14 ქრისტეშ. ნაცვლად გაიმართება შაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს.

◆ **ნავთი და ბენზინი.** 10 გიორგ. ბაქოდან თბილისში საქართველოს რკინის გზის სახელზე მოვიდა 46 ქვაბი ნავთი. აქედან 5 ქვაბი ალსტაფაში დასტოვეს, 4 ქვაბი ბენზინი ფოთში გაიგზავნა. 11 გიორგობისთვეს ნავთის და ბენზინის მოსატანად თბილისიდან ბაქოში გაიგზავნა კიდევ 50 ქვაბი.

საზოგადოებ. და კრებები

◆ **ქალთა კავშირის მოსამსახურეთა ყრილობა.** 15 ქრისტეშობისთვეს დილის 11 საათზე შესდგება საქართველოს რესპუბლიკის ქალთა კავშირის მოსამსახურეთა კრება კავშირის მოსამსახურეთა ორგანიზაციის მოსაწყობად.

◆ **საქ. პარლამენტის და მთავრობის დაწესებულ. მოსამსახ. ეკონომიურ საზ-ების წევრთა კრება** 15 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე ფინანსთა სამინისტროს შენობაში, დანიშნულია საქართველოს პარლამენტის და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საერთო კრება. განსახილველი საგნები: ა) გამგეობის მოხსენება, ბ) სარევიზიო კომისიის მოხსენება, გ) წესდების შეცვლა, დ) 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და ე) მიმდინარე საკითხები.

პარტიული ცხოვრება

ქ. ქუთაისი. კვირას 15 ქრისტეშობისთვეს დილის 10 ნახ. ს. გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში შესდგება ეროვნულ-დემოკრატთა სტუდენტების, საერთო კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

პროვინციის ცხოვრება

ქ. თელავი. 8 ქრისტეშობისთვეს, შუაღამის 2 საათზე თელავის გენ.-გუბერნატორ მაღლაკელიძემ კალაურს, შაშიანს, აკურს და ურიათუბანს ალყა შემოარტყა. 9 ქრისტეშობისთვეს გათენებისას, აკურში მოკლეს ავაზაკი „კარტოსი“. შუადღისას, ვაჩნაძიანთან ყაჩაღი მოძღვრიშვილი ამხანაგით. საღამოთი აკურში მოჰკლეს ორი ყაჩაღი და შემდეგ ცნობილი „დანიკა“. 11 ქრისტეშობისთვეს ჩამოვიდა ორი ქისტი ცნობილ ავაზაკის ლევან ლეჟავას მეთაურობით თელავის გენ. გუბერნატორის მაღლაკელიძის მოსაკლავად. ბოროტგამზრახველები შეიპყრეს.

ს. გეგეთი, (იმერეთი). გაბრიელ გიგიაძემ მოჰკლა თავისი მამა მოსე გიგიაძე.

საყულია. გაჩნდა საქონლის ჭირი, რამაც სულ მცირე ხანში 800 სული იმსხვერპლა.

ს. სვირი. (იმერეთი) ვენახები ჭრაქმა და ნაცარმა დიდათ დააზარალა, რამაც სოფელი სიღარიბეში ჩააგდო. დღეს საპალნე (12 ფუთი) 700-800 მანეთი ღირს.

სამეგრელო. ს. ოჯალეში, სალხინოსა და ჭყადუაში მიურატის სალვინე ჯიშით დამყნილი ვენახები გაანადგურეს.

ს. მოგვეთი. ავაზაკები თავს დაესხნენ და მოჰკლეს პეტრე კაპანაძე.

ს. ნაბოკილევი. (სამეგრელო) ბოროტგამზრახველები თავს დაესხნენ გრიგოლ დგებუაძეს და 15.000 მანეთის ღირებული ნივთეული გაიტაცეს. შეიპყრეს კოწია დგებუაძე.

ჩრდილო კავკასია

ქ. პიატიგორსკი. ქალაქი მოწყვეტილია რკინის გზის მიმოსვლას, რის გამო სურსათის შოვნა მეტად გაძნელდა. მოსახლეობა დიდ გაჭირვებაშია.

ბოლშევიკები პიატიგორსკში სასწრაფოდ აღგენენ შავი ზღვის პირველ სახალხო პოლკს.

ქ. ნოვოჩერქასკი. ქ. ნოვოჩერქასკში მუშების დემონსტრაცია გაიმართა. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ჩრდილო კავკასიის ბოლშევიკების სამხედრო სარევოლუციო საბჭოს თავმჯდომარეობს ვინმე ი. პოლქიანი.

როსტოვის რკინის გზის ხაზზე გერმანელების ჯარის ნაწილთა შენობებზე გამოკრულია წითელი ბაირაღები წარწერით: „გაუმარჯოს ლიბკნეხტს". გერმანელი ჯარისკაცები იარაღს სტოვებენ და სასწრაფოდ სამშობლოში ბრუნდებიან.

სახალხო გვარდიის დღე

ხუთშაბათს 12 ქრისტეშობისთვეს თბილისში ზეიმით იდღესასწაულეს სახალხო გვარდიის წლის თავი. მთელი თბილისი სადღესასწაულოდ იყო მორთული. სახალხო ქუჩიდან ვერის დალმართამდე ორივე მხრივ ჩამწკრივებულნი იყვნენ გვარდიელები. პარადზე გამოვიდა გვარდიის ყველა ნაწილები, არტილერია, კავალერია, საავიაციო და სხ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა გვარდიის ცხენოსანი ნაწილი რომელთაც წინ ზურნა მიუძღოდათ.

ისმოდა ეროვნულ ჰიმნი და რევოლუციონური სიმღერები. ქალაქის თავს დასტრიალებდა სამხედრო ჰაეროპლანები, ქუჩებში ყურადღებას იქცევენ ჯავშნიანი ავტომობილები, პარადი მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო, რომელმაც სამხედრო მინისტრისა და სხვა სამხედრო პირთა და პარლამენტის წევრთა თანხლებით აიარა გოლოვინის პროსპექტზე და მიესალმა ორივე მხარეზე მდგომ გვარდიელებს, ვერის დალმართიდან ისევ უკან დაბრუნდენ და პარლამენტის წინ სიტყვები წარმოსთქვეს მთავრობის თავმჯდომარემ, სამხედრო მინისტრმა, რომელმაც სიტყვის ბოლოს მიესალმა სახალხო გვარდიის ორგანიზატორს ვ. ჯუღელს და ნიშნად მადლობისა ვერცხლის საყვირი გადასცა. პარადი დამთავრდა შუადღის 3 საათზე. ხალხი დაიშალა. პარადის დამთავრების შემდეგ მილიციის უფროსი, მილიციონერების თანხლებით, ცხენებით დაიარებოდენ ქუჩებში და წესიერებას იცავდენ.

ქალ. თბილისი ქართული კლუბი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე გაიმართება

საზოგადო კრება

მომხსენებელნი არიან:

გიორგი გვაზავა
ვლადიმერ ემუხვარი
გერონტი ქიქოძე
იასონ ლორთქიფანიძე

საქართველოს პარლამენტში

10 ქრისტეშობ. სხდომა

(გაგრძელება)

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

თევდორე ღლონტი (ს.-ფედ.) სავსებით მხარს უჭერს კანონპროექტს; ილაშქრებს ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ და ამბობს, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი სრულებით ხელს არ უშლის ვაჭრობა-მრეწველობას, მაგრამ ქართულმა ბურჟუაზიამ ვერ გამოიჩინა შემოქმედებითი უნარი და მის საქმის გაკეთებას ეხლა თვით დემოკრატია შეუდგა კოოპერატივების სახით, რომელთა რიცხვმა 1000 მიაღწია კიდეც და საერობო და ადგილობრივ თვითმართველობათა დახმარებით.

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია

ბ-ნ გვაზავას სიტყვიდან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოიტანონ, რომ მთავრობას შემოაქვს კანონპროექტი, რომელიც მიმართულია ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების წინააღმდეგ.

მთავრობის აზრით რეკვიზიცია არ შეიძლება იყოს მართველობის სისტემა. ვაჭრობა-მრეწველობას უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება და მწარმოებელნი უნდა იმყოფებოდნენ ისეთს პირობებში, რომ თავისუფლად განავითარონ თავიანთი წარმოებანი.

რეკვიზიცია არ უნდა იყოს მიმართული ვაჭრობა-მრეწველობის წინააღმდეგ, მაგრამ წარმოდგენილ კანონპროექტს სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს ვაჭრობა-მრეწველობასთან.

ვინც მხარს უჭერს აგრარულ რეფორმას, შეუძლებელია, რომ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ წავიდეს.

ეს კანონპროექტი არ არის მიმართული არც მეურნეობის წინააღმდეგ; მთავრობა სავსებით იზიარებს იმ აზრს, რომ წარმოებულ იქმნას საღი მეურნეობა. საჭიროა დაცულ იქმნას მეპატრონეთა ინტერესები.

ისეთი მამულები, რომელთაც ეს კანონპროექტი ეხება სულ 10-დეა საქართველოში და ამ მამულებში საჭირო პროდუქტების ჩამორთმევა უნდა მოხდეს რეკვიზიციის ფასით, ისე, რომ მეპატრონეთა მამულები შელახული არ იქნეს.

ისინი მიიღებენ სამართლიანად შეფასებულ სასყიდელს და ამ რიგად განცხადება ბ-ნ გვაზავასი, რომ ჩვენ ვაკანონებთ ტაციობას, სიმართლეს არ შეეფერება.

კირილე ნინიძე (ს. დ.)

მე არ მეგონა, თუ დღეს ამ კანონპროექტის შესახებ აქ ლაპარაკი მოგვიხდებოდა.

ეს კანონპროექტი არის ორგანიული შედეგი იმ 7 მარტის და 17 მარტის კანონებისა და ვინც ამ კანონებს შეურიგდა, მისთვის არც ეს კანონი უნდა იყოს საღაო. მაგრამ აქ ალბად აგრარული რეფორმის მოწინააღმდეგენი გვებრძვიან მისთვის, რომ ეს ტრიბუნა სააგიტაციოდ გამოიყენონ.

აქ გვებრძვიან ორი ფრთით: მარცხნით სოციალისტ-რევოლუციონერები, მარჯვნით ნაციონალ-დემოკრატები.

სოციალისტ-რევოლუციონერებს სულ მუდამ იმის ფიქრი აქვთ, რომ ვილაცა მოვა და სოციალიზმს დაამყარებს და არასოდეს ანგარიშს არ უწევენ რეალურ პირობებს.

ეს კანონი, თუმცა მხოლოდ გაგრძელებაა უკვე მიღებული კანონებისა აგრარული რეფორმების შესახებ. მაგრამ ბ-ნი გვაზავა მაინც გვაშინებს რომ ეს კანონპროექტი ეწინააღმდეგება ძირითად კანონებსო.

ნუ თუ ბ-ნ გვაზავას არ მოეხსენება, რომ საფრანგეთში, თუმცა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში აღიარებული იყო საკუთრების ხელშეუხებლობა, მიწები მაინც ჩამორთმეული იქმნა.

შემდეგ; თქვენ ხომ წინააღმდეგი არა ხართ მიწების ნორმაზედ ზევით ჩამორთმევისა და თუ ეს ასეა, მაშინ რჩება საკუთრების პრინციპი ხელშეუხებელი თუ არა?

და თუ ამაში თქვენ დამეთანხმებით, მაშინ აქ რაიმე ძალადობაზედ ლაპარაკი სრულებით ზედმეტია. ეხლა რაც შეეხება ჩამორთმეულ პროდუქტების შეფასებას: თქვენ იცით, რომ არსებობს კანონი სპეკულიაციის წინააღმდეგ, ჩვენ მიერ მიღებული, რომლის ძალით ისჯება არა მარტო ის, ვინც ზედმეტი ფასით ყიდის, არამედ ისიც, ვინც ყიდულობს და ამ კანონის ძალით, სახელმწიფოს არ შეუძლია იყიდოს სპეკულიაციურ ფასებში.

ამ რიგათ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს ამ კანონპროექტს.

მიწად-მოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი

აქ ცდა იყო ეს კანოპროექტი დაეპირდაპირებიათ უკვე მიღებულ კანონებთან და გამოეყვანათ დასკვნა, რომ იგი დამღუპველი იქნება მეურნეობისათვის.

არის განსხვავება მეურნეობისა და მეურნეს, კაპიტალიზმისა და კაპიტალისტის ინტერესების დაცვაში.

კანონმდებელს აქ აზრათ ჰქონდა მხოლოდ მეურნეობის ინტერესების დაცვა;

საერთო მეურნეობისა და არა მეურნის. მეურნეობის ინტერესი კი გვიკარნახებს ამ კანონის მიღებას, რომელიც მიმართულია ამ მეურნეობის გაუმჯობესებისა და არა განადგურებისათვის.

ძვირფას კულტურულ მამულებს, მართალია, ჩვენ ვართმევთ მეპატრონეთ, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენ მათ არ ვანადგურებთ, რომ ეს მამულები არ დაინგრენ.

თქვენ ამბობთ, რომ რა საჭიროა პროდუქტების რეკვიზიციაო? ავიღოთ მაგალითად ღვინო, კონიაკი, ან შამპანიური; იქ, სადაც რაციონალური ღვინის წარმოებაა საჭიროა ამ ღვინის ერთი ნაწილი დარჩეს ხელუხლები.

არც ერთი გონიერი მეურნე არ დააცარიელებს თავის სარდაფს, რომ შემდეგ რამოდენიმე წლის მომავალს უცადოს ღვინის დაყენებისათვის.

თქვენ იტყვით, რომ ეს კანონი საზარალო იქნება ამა თუ იმ მეურნისათვის.

კანონი უნდა ყველასათვის საერთო იყოს და კერძო შემთხვევით არ შეიძლება, რომ ვიხელმძღვანელოთ.

გამოვდივართ რა ამ საერთო შეხედულებიდან, მოვითხოვთ, რომ ეს კანონი მიღებულ იქმნეს პარლამენტის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაინგრევა ბევრი ძვირფასი მამული რაიცა დიდი შეცდომა იქნება ჩვენის მხრით.

ეს კანონი გაგრძელებაა იმ კანონისა—ინვენტარის ჩამორთმევის შესახებ, რომელიც მიღებული იყო ამიერკავკასიის სეიმის მიერ; ბ-ნი გვაზავა ამ სეიმის წევრი ბრძანდებოდა და თუ რამე ჰქონდა ამის საწინააღმდეგო რატომ არაფერი სთქვა მაშინ?

გ. გვაზავა: მე მაშინ ტრაპიზონში გახლდით.

ნ. ხომერიკი: ამ ჟამად წარმოდგენილი კანონპროექტის დროსაც ჩვენ გამოვდივართ იმავე მოსაზრებიდან, როგორადაც იმ კანონის მიღების დროს.

აქ ორი მოწინააღმდეგე გამოვიდა: მარცხნით და მარჯვნით, მაგრამ თქმულებისა არ იყოს, სიმართლე შუაშია.

ეს კანონი გამოიწვევს საწარმოო ძალთა არა დაცემას, არამედ მის აყვავებას.

პროდუქტია და მიტომ ვერ ჩამოვართმევთო—ეს მოსაზრება რომ მიგვეღო, ჩვენ მიწასაც ვეღარ ჩამოვართმევდით.

კონფისკაცია, საჭიროებისამებრ ყველა ქვეყნებში იყო მიღებული. თვით რუსეთშიაც კი კანონი იყო, რომლის ძალით, თუ სახელმწიფო საჭიროთ სცნობდა ამა თუ იმ მიწას, მას შეეძლო მეპატრონესათვის ჩამოერთმია.

კონფისკაციას ახდენდა ძველი წყობილება, მოახდენს მას ახალი წყობილებაც, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ძველი წყობილება ახდენდა მას ამა თუ იმ ჯგუფისა, ან პიროვნების ინტერესებისათვის, ახალი წყობილება კი მოქმედებს ხალხის ინტერესებისათვის.

კამათი სწყდება.

მომხსენებელი ონიაშვილი იცავს კანონპროექტს.

მუხლობრივი განხილვა

პარლამენტი გადადის მუხლობრივ განხილვაზედ. პირველ მუხლში სიტყვა „დანიშნული" სპეციალური კომისია ამოშლილ იქმნა და ამრიგად პროდუქტების საჭიროების ცნობა მიენდო თვით მინისტრს.

მუხლი მეორე: ჩამორთმეულ პროდუქტების საფასურის გამორკვევა, პატრონის დასაკმაყოფილებლად, მოხდება იმ წესით, რომელიც მიღებულია ამიერკავკასიის სეიმის 1917 წ. 17 მარტის კანონით სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ.

სპირიდონ კედია

მეორე მუხლი მიუღებელია იმ მოსაზრებით რომ, აქ ერთი მეორისადმი დაკავშირებულია ის, რაც ერთი მეორისგან სრულიად დაშორებულია თავისი ბუნებით!

ამ მუხლში ნათქვამი არის, რომ პროდუქტების საფასურის გამორკვევა პატრონის დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ მოხდება იმ წესით, რომელიც მიღებულია ამიერკავკასიის სეიმის კანონით.

ამ კანონის ძალით ჩამორთმეულ უნდა იქმნეს ინვენტარი.

წარმოდგენილ კანონ-პროექტში კი, ლაპარაკია პროდუქტების შესახებ; პროდუქტები გასატანია ბაზარზედ; მათი პირდაპირი დანიშნულებაა ამ ბაზარზე გატანა და იგი საგანია ალებმიცემისა.

ინვენტარი კი სხვაა. როდესაც მამულები ჩამოართვით და ინვენტარი, რომლის ჩამორთმევა ამის შემდეგ ბუნებრივი იყო, იგი არ ხდის მოხმარების საგანი და ბაზარზედ გასატანი.

ინვენტარი ერთია და პროდუქტი სხვა და, რადგან მათი ეკონომიური დანიშნულება სრულებით სხვა და სხვაა, მათი ერთმანეთისადმი დაკავშირება შეუძლებელია.

ამის გარდა მე მინდა ერთი შეკითხვით მივმართო მიწად-მოქმედების მინისტრს: აქ ნაჩვენებია ამ პროდუქტების გაყიდვა; ეს სამრეწველო პროდუქტია და რამდენათაც ვიცით, ჯერ ჩვენ არ მიგვიღია კანონი საწარმოო გამართულებათა (антреприза предпріятіи) ჩამორთმევისა, ამიტომ ამ პროდუქტების ჩამორთმევაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ კანონს მიიღებდით. ჯერ კი არ ყოფილა კანონი, რომლის ძალით მრეწველს ჩამოერთვას მთელი საწარმოო გამართულობა და ამის გამო ეს მუხლიც გაუგებარი რჩება.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ მუხლისა.

ი. ფირცხალაიშვილი (ს.-დ.) შემოაქვს მეორე მუხლის შემდეგი შესწორება: ჩამორთმეულ პროდუქტების საფასურის გამორკვევა ხდება პატრონთან შეთანხმებით, ხოლო თუ ეს შეთანხმება არ ხდება, მაშინ საფასურის გამორკვევა პატრონის დასაკმაყოფილებლად ხდება იმ წესით, რომელიც მიღებულია ამიერკავკასიის სეიმის მიერ 1917 წ. 17 მარტის კანონით ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ.

ნ. ხომერიკი

ბ-ნ კედიას სიტყვა, არსებითად, მიმართული იყო მთელი კანოპროექტის წინააღმდეგ.

ხოლო რაც შეეხება მეორე მუხლს, ალბათ ავიწყდებათ, რომ ჯერ კიდევ ძალაშია ის რუსის კანონი, რომლის ძალით შენობა ეკუთვნის მიწას.

ბარხუდაროვი (სომ. სახალ. პარ.) შემოაქვს შესწორება, რომ უკანასკნელი გადამწყვეტი ძალა იმ დავაში, რომელიც შესაძლოა მინისტრსა და მეპატრონეს შორის მოხდეს, ეკუთვნოდეს სასამართლოს და ამით დაცული იქნება მეპატრონის უფლება მინისტრისა და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან.

გრ. ვეშაპელი. ხომერიკის განცხადების გამო, თუ როგორის წესით განახორციელებს სამინისტრო პროდუქტების რეკვიზიციით მინიჭებულ უფლებას, საჭიროა შემდეგი ილიუსტრაცია: მთავრობისა და მიწათმოქმედების სამინისტროს იურისკონსულტი სერგი ჯაფარიძე 21 აგვისტოს თარიღით 2635-ის ქაღალდით შემდეგ განმარტებას აძლევდა ცენტრალურ საადგილმამულო გამგეობას; ეს ქაღალდი ნაწერია რუსულად, მაგრამ რადგან პარლამენტში ზოგიერთმა სახელმწიფო ენა არ იცის, ამიტომ მე მოვიყვან ქართულად:

„შენობანი სამოქალაქო კანონებით შეადგენენ მიწის საკუთრებას და იზიარებენ მის ბედს. ამის გამო მიწების კონფისკაციის დროს უნდა უფასოდ მოხდეს კონფისკაცია აგრეთვე ყველა შენობებისა, რაც კი არის ამ საკონფისკაციო მიწებზედ; და რაც უნდა იყოს ამ შენობებში მოთავსებული: სარდაფი, ქარხანა, ფაბრიკა, წისქვილი, ინსტრუმენტები და სხვაგვარი ქონება; საეჭვოა ვინც უნდა ცხოვრობდეს იქ: პატრონი, მუშები, მოიჯარადრენი და სხვანი".

აი როგორი განმარტებით სწყდებოდა უძრავი ქონების ბედი მიწების კონფისკაციის დროს; ალბად ამიტომ არის, რომ არც ერთი ქვიტკირი საქართველოში თავის პატრონს აღარ ეკუთვნის.

ამისი მოხსენება საჭიროა პარლამენტისათვის იმიტომ, რომ ვერიდოთ ზოგადი დეკრეტების და კანონების გამოცემით გაურკვეველი უფლების მინიჭებას ამა თუ იმ მინისტრისათვის.

როდესაც კანონში განმარტებული არ არის, თუ ვის და რას შეეხება კონფისკაცია, მაშინ მინისტრები მიმართვენ ერთად-ერთს სპეციალისტს ამ საკითხებში იურისკონსულტს სერგი ჯაფარიძეს და ბოლოს გამოდის ისე, რომ კონფისკაცია, რეკვიზიცია და ექსპროპრიაცია სრულებით არ არის სახსენებელი ჩვენი კანონმდებლობის დროს; ეს ტერმინები მეტისმეტად ევროპიულია ქართული პრაქტიკისათვის.

მომხსენებელი დ. ონიაშვილი უკანასკნელს სიტყვებში უარყოფს პარლამენტის წევრის ბარხუდაროვის შესწორებას და შესაძლებლად სცნობს მიღებულ იქმნას სოც.-დემ. შესწორება ი. ფირცხალაიშვილის მიერ წარმოდგენილი.

პარლამენტი კენჭის ყრით, წინააღმდეგ ეროვნული დემოკრატებისა, იღებს მეორე მუხლს სავსებით, სოც.-დემოკრატების დამატებითი შესწორებით.

მილოცვა ადერბეიჯანს

სხდომის დასასრულს თავმჯდომარე ექვთ. თაყაიშვილი წინადადებას იძლევა, რომ პარლამენტმა, რომელიც ყოველთვის სიამოვნებით ეგებებოდა მეზობელ ერთა თავისუფალ ცხოვრების განმტკიცებას, მიესალმოს ადერბეიჯანის მთავრობას პარლამენტის გახსნის გამო.

პარლამენტი ტაშის ცემით იწონებს თავმჯდომარის წინადადებას.

კრება ნაშუადღევის 3 საათზედ იხურება.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

ინგლისური პრესა 10 ქრისტეშ.

კაიზერი. კორესპონდენტები ამერონგენიდან იუწყებიან, რომ კაიზერი დღემუდამ ნაღვლიანდება, ხის ფანჯარასთან და სულ აჩქარებით ჰსწერს.

პუანკარეს და კლემანსოს მოგზაურობა

პუანკარეს და კლემანსოს მოგზაურობა გრძელდება. დღეს მათ გაიარეს შლეშტატი, კოლმარი და ჰუაზენი. ხალხი მათ აღფრთოვანებით ჰხვდებოდა.

ბერლინის მდგომარეობა

ბერლინში მდგომარეობა რთულდება. მთავრობამ აკრძალა ყაზარმიდან გამოსვლა. ლიბკნეხტის პარტია დაბეჯითებით მოითხოვს მუშათა საერთო გაფიცვას; ამ პარტიის მომხრეებს აქვთ მრავალი ტყვიისმფრქვევლი და ამუნიცია. სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიას განზრახული აქვს მთავრობას ულტიმატიურად მოსთხოვოს, რომ დაშალოს სპარტაკის კომიტეტი და ლიბკნეხტი დააპატიმროს.

რუსეთი

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ქრისტეშ. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. დასაწყისი არ მოსულა). ლონდონის რადიო დეპეშა გარკვეულად არ იუწყება ბერლინში 6 დეკემბერს მომხდარ ამბების შესახებ. ნათელია მხოლოდ ის, რომ ბერლინში გვარდიელთა პოლკი შეეცადა ძალით ჩარეულიყო ალმ. კომიტეტისა და მთავრობის საქმეში და ალმ. კომიტეტის გავლენა ჩამოეშორებია.

ინგლის-ამერიკის საზღვაო მოლაპარაკება

როტერდამი. 5 ქრისტეშ. ლონდონის გაზეთი „დეილი ნიუსი" იუწყება, რომ ინგლისსა და ამერიკის შორის ახალი მოლაპარაკებაა საზღვაო კავშირზე, რომლის ძალით ორივე სახელმწიფოს ზღვაში ერთნაირი ძალა უნდა ჰყავდეს.

მოკავშირეთა ჯარი ბერლინში

ბაზელი. 4 ქრისტეშ. იუწყებიან, რომ მოკავშირეთ გადაუწყვეტიათ თავისი ჯარი ბერლინში შეიყვანონ ზეიმით.

კელნში

ქელნი. 4 ქრისტეშ. „კელნის გაზეთი" იუწყება, რომ 4 ქრისტეშ. იქ ჩავიდა მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარის მოწინავე ნაწილი. კელნში დაიწყო მაღაზიების დარბევა. პოლიციას დამრბეველებთან შეტაკება უხდება.

სპარტაკელები და ჰინდენბურგი

ბერლინი. 4 ქრისტეშ. სპარტაკელები თავის გაზეთში „წითელი დროშა" მოითხოვენ ყველა კონტრ-რევოლიუციონურ ოფიცერთა და ჰინდენბურგის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას მთავრობისაგან ჯარის უფროსების ჩამოშორებას, მთავარბანაკის დაუყოვნებლ ბერლინში გადატანას და ასპარეზიდან დაბრუნებულ ჯარის გერმანიის შიდა ნაწილში დაუბრკოლებლივ შესასვლელად ზომების მიღებას.

გერმანული პრესა. 10 ქრისტეშობ. მე-15 დივიზიის ჯარი ნიკოლაევიდან გაგზავნეს ღვინისკენ მიმავალ პეტლიურას ჯარის წინააღმდეგ. პეტლიურას ჯარი ოდესის ახლოა.

გუშინდელ საღამოს ცნობაშა ნახსენები გარანტია მოკავშირეთ არ მოუციათ წერილობითი ფორმით, მიუთითეს მხოლოდ მე-15 მუხლზე.

დივიზიის ნაწილები გროსმდობენტალში გადაგზავნეს, რადგან ყაზარმებს მოკავშირეთათვის სცლიან.

ოდესაში

პოლონეთის და მოხალისეთა ჯარის რაზმები ოდესას სტოვებენ.

ოდესაში მილიციას შეტაკება ჰქონდა ჯართან, რომელიც გერმანიის ჯარის საწყობის რბევას შეეცადა. მოკლულია რამდენიმე პოლონელი და 1 უკრაინელი ოფიცერი.

ოდესაში ჩამოვიდა სერბიელთა როტა, რომელიც ავსტრიის ჯარში მსახურებდა.

მთავრობამ დაადგინა არ აყაროს იარაღი გვარდიის ჯარს, რომელმაც ბერლინში გამოსვლა მოახდინა.

გერმანიის დაბრუნებული ჯარი

სამშობლოში დაბრუნებულ ჯარებს გაზეთები მისასალმებელ წერილებს უძღვნიან. „ფოსიშე ცაიტუნგი" სწერს: ბერლინის ჯარი ახლა სახლში ბრუნდება არა ისე, როგორც რამდენიმე ხნის წინედ გვქონდა წარმოდგენილი. მაგრამ მიუხედავათ ამისა მათ სალამს უძღვნით—„კეთილ იყოს მოსვლა". გულმხურვალე შეხვედრა არც მაშინ იქნებოდა გულწრფელი, გერმანია რომ ამ საშინელ ომიდან უფრო ბედნიერად გამოსულიყო. ჯარი არ დამარცხებულა. ნამდვილი [illegible] ბრუნდებიან ისინი. [illegible] რის გაკეთებაც აქამდე ვერავის შეეძლო. ჩვენ დაბლა ვხრით თავს ნიშნად მწუხარებისა იმ აჩრდილთა წინაშე, რომელიც აკლია დღეს ჯარს. მაგრამ მხურვალე სალამს უძღვნით იმათ, ვინც ბედმა გადაგვირჩინა.

„ბერლინერ ტაგებლატი" სწერს: ამ ჟამით, როცა ბერლინის ქუჩებზე უფრო ხშირათ ვხედავთ გერმანიის ჯარს და ათასი მოქალაქე უცხადებს მათ თავის თანაგრძნობას და სიყვარულს, როგორც არასოდეს ჩვენ ვგრძნობთ, რომ არავითარ დამარცხებას და მტრის დამცირებას არ შეუძლია დაავიწყებს მისცეს მათი გმირობა, თავგამოდება და ერთგულება ოთხნახევარი წლის ომის განმავლობაში.

„ფორვერტსი" სწერს: ახალი შეხვედრის სიხარული განსაზღვრულია, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება დიდი ხნით მივცეთ ამ მხიარულებას. ომით განადგურებულ გერმანიას ელოდება სწუხარი. შედეგით ხელიზე ჩაკიდებული შემოქმედებით მუშაობას. ჩვენს მომავალ ბედნიერებას ვხედავთ სოციალიზმში და თავისუფლებაში. მოდით ჩვენთან და დაგვეხმარეთ მათ მიღწევაში.

გერმანიის ვაჭარ-მრეწველთა წრეების წინადადებით 9 დეკემბერს ფინანსთა სახელმწიფო სტატს-სეკრეტარმა შიფერმა მრავალ რიცხოვან აუდიტორიის წინაშე, რომელსაც ბანკის და ვაჭარ-მრეწველთა წრეები შეადგენდენ სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობის და კლასობრივ პოლიტიკის შესახებ.

საქ. ტექნიკური საზოგ. სატერმინო კომისიას

სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე.

(დასასრული, იხ. „საქ." № 237)

IV.

ჩემ აზრის განხორციელების უმოკლეს გზაზედ დასაყენებლათ მე 10 წინადადება შემომაქვს.

1. რაც შეიძლება საჩქაროდ შესდგეს კომისია სკოლებში შემოღებულ არა ორგანიულ ბუნების ასახსნელად ყველა საჭირო სიტყვების შესამუშავებლათ.

სპეციალურ საგნებს უფროსი ხნის მოწაფეები სწავლობენ, მათთვის დროებითი რამე მოხერხდება, პატარა ბავშვებისთვის-კი მასწავლებლის ან სასწავლო წიგნის ყოველ სიტყვას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სწავლის ამ დონეზე წიგნი და ენა შეადგენს ყველაფერს. თუ წიგნი გაუგებარია, სწავლა წყალშია იქცევა.

არა-ორგანიულ ბუნების „გაკვეთილს" ესე იგი მის შესახებ ოთხიმე გვერდიან წიგნს გაუგებარ შინაარსის თითქმის დაზეპირება ყოველ სახალხო სასწავლებლის პირველივ ხანიდან არის შემოღებული. ვისაც ჩვენ სოფელში არ ეცხოვრია, ან ამ წიგნების ხმარება არ დასჭირებია, მისთვის ძნელად წარმოსადგენია, თუ რამდენად მავნებელია ამ საგნის ასე დაყენებული შესწავლა და რა უფსკრულს უთხრის ის ფიზიკის, ქიმიის, მინერალოგია—გეოლოგიის და ბიოლოგიის მომავალ ჩვენ ხალხის წრეში იმით, რომ მას ბავშვობიდან მიელ ბუნებას აძულებს.

და ხომ სწორეთ ამ საგანმა უნდა გაუღოს საქართველოს „ბუნების" და ყოველ მის სიკეთის „კარი".

ამ მდგომარეობიდან გამოსავლელათ ორი ნაბიჯი კიდევაც გადადგმული, ორი წიგნია გამოცემული, ბ. იაშვილის და ბ. ზაალიშვილისა. ბევრია მათში გამოსადეგი—მეტადრე ბ. იაშვილის წიგნში—ჩვენ მეცნიერულ ენის გასაქართულებლად. მაგრამ ელოდის დრო დიდი ხანია წასულია, ერთ ადამიანს აღარ შეუძლია არისტოტელივით მთელ ქვეყნიერ მეცნიერების შეგნება და გადმოცემა.

ორივე წიგნი ყველა არა-ორგანიულ დარგების შეკუმშულ ენციკლოპედიას შეიცავს. ნამდვილი ენა მათ ჯერ არა აქვთ, მაგრამ ეს შეუდარებლივ უფრო მეტად ბ. ზაალიშვილის წიგნს შეეხება, სათაურიდან უკანასკნელ გვერდამდის უსისტემო უცხო სიტყვებით ავსებულს. კრემნეზი, კრემნე—რკინა—კირონი და სხვ.

კომისიამ ეს წიგნები უნდა გაიცნოს. მათი შინაარსი და პედაგოგიური მხარე სხვა კომისიების გადღებულ საქმეს წარმოადგენს, აქ-კი მხოლოდ ტერ-

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს რედაქციის ფონდი"

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას!

მინები უნდა გაიშინჯოს და თავიდან ბოლომდის შემუშავდეს.

ასეთი სიტყვები, როგორც კარბონატი, მაგმა, კრემნეზიომი ან კრემნე—გლინოზიომ — ტუტიანი და სხვა, უნდა საჩქაროდ გადმოითარგმნოს; ასეთები კი, როგორც ქვესკნელის ცეცხლი, ალმონთხეული მთა (ვულკანი), რქიანა მატყუარა ან ყარანდაშის გული (ბუნებრივი გრაფიტი) უნდა ეხლავე შეიცვალოს. ასეთი ენის ხმარება შეუძლებელია.

აი ამისათვის საჭიროა სპეციალურ კომისიის მოწვევა. მასში არა ორგანიულ ბუნების შეგნების ყოველ დარგის წარმომადგენელი უნდა შევიდეს: ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მინერალოგი ან გეოლოგი და მათთან ერთად ტექნიკის სპეციალისტებიც.

ეს ბუნების ახსნისა ჯერ კიდევ შემოკლებულ ენციკლოპედიას შეადგენს და იმის ენის შემუშავებაში ამიტომ ამდენმა სპეციალისტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ქართული ენის შეგნების წარმომადგენელიც აუცილებლად უნდა შედიოდეს ამ კომისიაში.

ამას გარდა კომისია უნდა მუდმივ შეხებაში იმყოფებოდეს ყველა მის საგნის შემადგენელ სპეციალურ დარგების სატერმინო კომისებთან.

მინამ ბუნების ახსნის შინაარსი თანამედროვე პედაგოგიის მიხედვით არ შიცვლილა და მისი ქართული წიგნები შინაარსის მხრივ არ შესწორებულა, კომისიამ უნდა მის სახმარი ენა მაინც როგორმე გაწმინდოს, გააერთიანოს და გასაგები გახადოს. უამისოდ ზოგი თავები პირდაპირ მავნებელია.

ჩემ ქიმიურ ტერმინოლოგიის შედგენაში ერთ წუთით არ დამვიწყებია ბუნების ახსნის საჭიროება და „ბუნების კარის" მომავალი შინაარსი. ამიტომ შეიძლება ზოგიერთი ჩემი სიტყვა ან აზრი გამოადგეს ამ ახალ კომისიას.

—

2. თუ ტერმინების შემუშავება ასეთ ფართო ნიადაგზედ დადგა,—ეს კი აუცილებლად საჭიროა,—მაშინ ქიმიის კომისიას უნდა ჩაემატოს თეორეტიულ ქიმიის, ესე იგი წმინდა მეცნიერების წარმომადგენელი და მისი უმაღლეს სასწავლებელში ახსნელი, კომისია საერთოდ უნდა უმაღლეს სასწავლებელს დაუკავშირდეს და მასთან ერთად დაიწყოს ჩვენი მეცნიერული ენის შექმნა. უსპეციალისტებოთ ნამდვილი ენა ვერ შემუშავდება.

3. ამავე მოსაზრებით კომისიაში მოწვეული უნდა იქნეს მის მუდმივ და მოქმედ წევრათ ქართულ ენის შეგნების წარმომადგენელი,

მხოლოდ ამ პირობის შემწეობით შესაძლებელი გახდება ყოველ ახალ სიტყვის და მის ყოველ მარცვლის ყურადღებით არჩევა, სხვებთან შეკაზმვა და მთელი ენის ბროლივით გაანკარება. უამისოდ გამძლე ტერმინებს ვერ გავიჩენთ.

4. ამათ გარდა კომისიაში უნდა შედიოდნენ: ფიზიკის, მათემატიკის, მინერალოგია-გეოლოგიის და ბიოლოგია-ფიზიოლოგიის კომისიების წარმომადგენლნი.

5. ქიმიის კომისიამ კი თავისი წევრები უნდა შეიყვანოს ყველა ამ თავის საზიარო დარგების კომისიებში, მთელ მტკიცე მეცნიერების ტერმინოლოგიის ერთ გზაზე და წყობაზე დასაყენებლად და საერთო ცნებების ყველა დარგებში ერთი და იმავე სიტყვებით გამოსახავად, რომ მთელი მუშაობის კოორდინაცია მოიწყოს.

6. ზოგიერთ ცნებებისთვის სახელების ამოსარჩევათ საჭირო იქნება ფილოსოფიის და ლოგიკის კომისიაში მიმართვა, ნამდვილი ქართული სიტყვებით ასეთი ცნებების გამოსახავათ, როგორც კოსმოსი, სტიქიონი და სხვ. ერთ მხრივ, და თეორია, მეთოდი ან ჰიპოტეზა და სხვ. მეორეთი.

7. მათემატიკის კომისიის შემწეობა კიდევ უფრო საჭიროა, როგორც გეომეტრიის ისე ალგებრის წარმომადგენლობით, ქიმიურ გრაფიკისთვის, კრისტალლოგრაფიისთვის, სტექიომეტრიისთვის, ყოველ კონსტანტის დასახელებისთვის, ერთი სიტყვით, უმათემატიკოთ ჩვენი ქიმიური ენა ბავშვის ტიტინი იქნება.

8. ევროპიულ ტერმინების ტრანსკრიპციისთვის ჩვენ სახელთწოდების საერთაშორისო ვარიანტისთვის აუცილებლად საჭიროა ქართულ ასო ჶ-ს შემობრუნება ყველა აუარებელ „f"-ს გადმოსაცემათ, უამისოდ სიტყვები მეტად მძიმე და უშნო გამოდიან: ფაქტი, ფორმა, ფიქცია, ფუნქცია, ფერმენტაცია ფოსფორესცენცია, ფლუორესცენცია ფერროფერრატი, ფაზა, ფტორი და სხვ. ასო ჶ უსათუოდ სხვა ასოებთან ერთად უნდა იხმარებოდეს ჩვენს მეცნიერულ მწიგნობრობაში. უცხო სიტყვები უამისოთაც უსაშველოთ აუშნოებენ ჩვენს ენას ყველა თავისი „ჶ" და „ც"-ებით და თუ ამასთან ერთად ყოველი მეცნიერული ნაწერი საუნივერსიტეტო წიგნი ასეთ „ჶარ"-იანი სიტყვებით აივსო, ეს ნამეტანი იქნება.

—

9. მანამ ახალი ენა ჯერ არ გამორკვეულა და გამოქვეყნებული არ არის, სახელების და ენების რევის ასაშორებლად საჭიროა ტერმინების საერთო ცენტრის დაარსება, რა-კი ცხოვრება არ იცდის და უენოთაც წინ გარბის.

ამ ცენტრათ მარტო ერთი შესაფერი ადგილია, ჩვენი პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც თვით ისტორიულ პირობებით დანიშნულია გადაიქცეს მთელ ჩვენ განათლების შემოქმედ ძალათ.

მეტად საჭიროა ისეთი დაწესებულება, სადაც ყოველს, ვისაც ეს დასჭირდება, შეეძლოს მტკიცედ შეიტყოს, თუ რა მდგომარეობაშია ამა და ამ ტერმინების შედგენის საქმე ან უკანასკნელი მისი გამოსახვა.

ქიმიის კომისიას შეუძლია ამ საქმის მოწყობა ითავოს.

უნდა დაარსდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც ყველა დარგების სატერმინო კომისიებს განუყოფელ მჭიდრო ორგანიზაციაში გადააქცევს, მას თავში ჩაუდგება და ყველა კომისიების მუშაობას განუწყვეტლივ თვალს ადევნებს. ამ ცენტრში უნივერსიტეტის და სატერმინო კომისიების წარმომადგენლნი უნდა შედიოდნენ. ბინათ ყველაზე შესაფერია უნივერსიტეტის ამორჩევა, კომისიების ნამუშევარის გარდა ცენტრი მუდამ უნდა აგროვებდეს გაზეთებში მოთავსებულ კერძო სახელთწოდებებს და მათ შესახებ გამოწვეულ ნაწერებს.

10. ამ საქმეს კიდევ ერთი მხარე აქვს. ეხლა უთვალავი ახალი სიტყვა ვრცელდება მწიგნობრობის შემწეობით. უმეტესი მათგანი არა მეცნიერულია; ისინი საჭირო ტერმინების ჯერ კიდევ თავისუფალ ალაგს იჭერენ. ამით ენის ზრდა ფერხდება. ტერმინების ცენტრმა უნდა ეცადოს უფლება შეიძინოს საერთო ენის შემოღებამდის. ყველა ახალ გამოსაცემ სასწავლო ან სამეცნიერო საკითხავ წიგნების ტერმინოლოგიის მხრივ წინდაწინ გაშინჯვისა და შესწორებისა.

რამდენად პოეზია და სიტყვა-კაზმული მწერლობა უნდა თავისუფალი იყოს, იმდენად სამეცნიერო ენა მტკიცე კალაპოტში უნდა იყოს ჩაყენებული.

ყველამ თავისი ნაწერი ამ კომიტეტს უნდა წარმოუდგინოს. ამ საქმის მოწყობა კი უნივერსიტეტმა უნდა იკისროს, რადგანაც მისი სახელი სულ სხვა სხივს მოჰფენს ამ შინჯვას და სულ სხვა ღირსებასაც მიანიჭებს მას.

წინანდელ ცენზურასთან ამ შინჯვას საერთო არა ექნება-რა: მისი მიზანი პირდაპირ წინააღმდეგიცაა, რადგანაც ის დარაჯათ იდგება, ხალხის გონებისგან ბნელ და მავნე სიტყვების ასაცდენათ.

თუ ვინმე საკუთარ სახელთწოდებას ადგენს, რაც მეტად სასურველია, —მას ნება როდი უნდა ჰქონდეს ამ ახალ სახელებზედ დამყარებული წიგნები გაავრცელოს, სასწავლოთ ან საკითხავად. ეს სახელები მან გაზეთში მოათავსოს, რომ მათ შესახებ კამათი გაიმართოს, ეს წინ სწევს ტერმინების ძიებას და შემუშავებას. მას შეუძლია აგრეთვე თავისი წყობა სატერმინო ორგანიზაციის რომელიმე კომისიას წარუდგინოს. მხოლოდ როცა ეს კომისია რომელიმე მის სახელს გამოსადეგათ სცნობს და სატერმინო ცენტრს გადასცემს, ავტორს შეეძლება ამ სიტყვის ვრცელება.

ხალხმა მზად შემუშავებული სამეცნიერო სახელები უნდა მიიღოს და არა ხან ერთი, ხან მეორე და ისიც ხშირად უვარგისი ან შეცდომითი.

—

ასე დაყენებული საქმე აუცილებლად მიაღწევს თავის მიზანს და ნამდვილ სიტყვებიდან შემდგარ სახელთწოდებას შექმნის. ყოველი სახელი სწორეთ ის იქნება, რომელიც მის საგნის გამოსახავათ საჭირო არის. ასეთი სიტყვები უცბად ჩაეწნებიან ჩვენს ენას და მასგან ველარ გამოირჩევიან.

ახალ გამოქვეყნებულ ტერმინების მისაღებათ საკმაო იქნება თითო-ოროლა ახალ წიგნის გამოცემა ან ძველის გამოსწორებულად გადაბეჭდვა. ამ გზით ვერც კი შევამჩნევთ, რა მალე შევეჩვევით ახალ სახელების ხმარებას.

ახლად შექმნილი ენა ხალხის მკვიდრ იარაღათ, საყოველდღეო ბაასის მასალათ გახდება. როგორც ყოველი ცხოველი არსი, ეს ახალი სახელები მალე თითონ ახალ სიტყვებს და ახალ ცნებებს წარმოშობენ და ყველა ეს ახალი სიტყვა იმდენადვე ნამდვილად ქართული, მეტყველი და მოხდენილი იქნება, როგორც მთელი ჩვენი ენაა, ყოველ თავისი მკვიდრი ან ოდესმე სპარსულ, არაბულ და ბერძნულ სიტყვებით.

ამნაირად განათლებული და გამდიდრებული ახალი ქართული ენა ერთ-ორ წელიწადში მზად იქნება და საყოველთაო ხმარებაში შევა. შორს არ არის ის დრო, როცა ამ ჩემ მოხსენებაში ნახმარ უცხო-უცხო სიტყვების თოვლ-ჭყაპის მაგიერ შეძლება მომეცემა ჩემი აზრები დედა-ენაზედ გამოვთქვა და ჩემ ხალხს ყოველ საგანზე მისივე ენით ველაპარაკო.

რუსუდან ნიკოლაძე-
პოლიევქტოვისა.

კანონ-პროექტები

პროექტი კანონისა უქმე დღეების შესახებ.

შრომის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი.

მუხლი I.

საქართველოს რესპუბლიკაში უქმე დღეებად აღიარებულია ყველა კვირა დღეები და შემდეგი უქმეები ახალი თარიღით:

ა) საეკლესიო უქმეები:

1 და მეორე დღე ქრისტეშობისა 25 და 26 ქრისტეშობისთვის მაგიერ —7 და 8 იანვარს.

ნათლის ღება—6 იანვ. მაგიერ 19 იანვარს.

მირქმა უფლისა—2 თებერ. მაგიერ 15 თებ.

ხარება ყ-დ წმ. ღვთისმშ.—25 მარტის მაგიერ 7 აპრილს.

ფერისცვალება უფლისა—6 მარიამ. მაგიერ 19 მარიამობისთვეს.

მიძინება ყოვლად წმ. ღვთისმშობლ. —15 აგვისტ. მაგიერ 28 აგ.

შობა ყ-დ წმ. ღვთისმშ.—8 ენკენ. მაგიერ 21 ენკენ. ჯვართ ამაღლ.—14 ენკენ. მაგიერ 27 ენკენ.

ტაძრად მიყვ. ყ-დ წმ. ღვთისმშ.—21 გიორგობ. მაგიერ. 4 ქრისტეშ.

პარასკევს და შაბათს ვნების კვირისა, ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა. ამაღლება და დღე სულის წმინდის მოფენისა.

ბ) სამოქალაქო უქმეები:

ახალი წელი—1 იანვარს (ახალი თარიღით).

მუშათა ინტერნაციონალური დღესასწაული—1 მაისი (ახალი თარიღით).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე—26 მაისი (ახალი თარიღით).

რუსეთის რევოლიუციის პირველი დღე—27 თებერვალი (ახალი თარიღით).

მუხლი 2.

უქმე დღეების ნუსხი, აღნიშნული სამრეწველო შრომის წესდებით მე-198 მუხლში და ამიერ-კავკასიის კომისარიატის ქრისტეშ. მე-20 მუხლში 1917 წლის 29 ქრისტეშ. რვა საათის სამუშაო დღის შესახებ იცვლება უქმეების ნუსხით, რომელიც მოყვანილია ამ კანონის პირველ მუხლში.

მუხლი 3.

ეს კანონი შედის ძალაში იმ დღიდან, როცა ის მიღებულ იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ.

შრომის და სარწმუნოების კომისიების შეერთებულ სხდომის თავმჯდომარე.

სხდომის და სარწმუნოების კომისიების შეერთებულ სხდომაზე შესწორებული.

მუხლი 1.

საქართველოს რესპუბლიკაში უქმე დღეებად აღიარებულია ყველა კვირა დღეები და შემდეგი უქმეები ახალი თარიღით:

საეკლესიო უქმეები:

1 და 2 დღე ქრისტეს შობისა 25 და 26 დეკემბრის მაგიერ 7 და 8 იანვარს.

ნათლის ღება 6 იანვ. მაგიერ 19 იანვარს.

მირქმა უფლისა 2 თებერვლის მაგიერ 15 თებ.

ხარება ყ-დ წმ. ღვთისმშ. 25 მარტ. მაგიერ 7 აპრილს.

ფერისცვალება უფლისა 6 მარიამ. მაგიერ 19 მარიამობისთვეს.

მიძინება ყოვლად წმ. ღვთისმშობლ. 15 მარ. მაგიერ 28 მარიამობისთვეს.

შობა ყ-დ წმ. ღვთისმშობლ. 8 ენკენ. მაგიერ 21 ენკენისთვეს.

ჯვართ-ამაღლ. 14 ენკენ. მაგიერ 27 ენკენისთვეს.

ტაძრად მიყვანა ყ-დ წმ. ღვთისმშ. 21 გიორგ. მაგიერ 4 ქრისტეშობისთვეს.

პარასკევს და შაბათს ვნების კვირისა, ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა, ამაღლება და დღე სულის წმიდის მოფენისა.

ბ) სამოქალაქო უქმეები:

ახალი წელი 1 იანვარს (ახალი თარიღით).

მუშათა ინტერნაციონალური დღესასწაული 1 მაისი (ახალი თარიღით).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე—26 მაისი (ახალი სტილით).

შენიშვნა: დამქირავებელის და დაქირავებულის ურთიერთ შეთანხმებით შესაძლებელია უქმეები: 15 თებერვალი, 21 სექტემბერი და 4 დეკემბერი შეიცვალოს სხვა უქმე დღეებზე, რომელთაც ადგილობრივად დღესასწაულობენ.

მუხლი 2.

უქმე დღეების ნუსხი, აღნიშნული სამრეწველო შრომის წესდების მე-198 მუხლში და ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტის მე-20 მუხლში 1917 წლის 29 გიორგობ. 8 საათის სამუშაო დღის შესახებ იცვლება უქმეების ნუსხით, რომელიც მოყვანილია ამ კანონის პირველ მუხლში.

მუხლი 3.

ეს კანონი შედის ძალაში იმ დღიდან, როცა ის მიღებული იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ.

შრომის მინისტრის მაგიერ მისი ამხანაგი **გ. ერაძე.**

თეატრი და მუსიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს გ. ზალიპსკის 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად „პიკის ქალი". კვირა-დილით ბალეტი და საბავშვო ოპერები: ა) „7 ციკანი" ბ) „წითელი ქუდი" საღამოთი შულგინას, შვამბერგის, კანშინას, პოლიაევის, ისეცკის და სხ. მონაწილეობით **ნერონი** სამშაბათს 17 ქრისტეშობისთვეს — „ჰოფმანის ზღაპრები".

დრამა „ტარტო" დღეს „ვერა მირცევა".

საქველმოქმედო საღამო. ყოფილ საკადეტო კორპუსის დარბაზში ვაჟთა პირველ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება საღამო-ბალი ცნობილ მსახიობ მომღერალთა მონაწილეობით.

„თბილისის საკრებულო" დღეს შესდგება მხატვრულ მინიატიურების მეორე საღამო ახალ პროგრამით. საღამოს ნომრებში იქნება როსტანის „თეთრი ვახშამი" და დიდი ციგნური კონცერტი.

ქართული კლუბი დღეს, მიხ. კავსაძის კონცერტი ლექციით.

შაბათს 21 ქრისტეშობისთვეს გაიმართება კონცერტი ა. მაისურაძის ხელმძღვანელობით.

სასამართლო

საგანგებო სასამართლოში 10 ქრისტეშობისთვეს გაირჩა საქმე მე-12 უბნის უმცროს მილიციონერის უჯმაჯურიძესი და ოზურგეთის მაზრის მცხოვრების სვიმონ ბერიძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ვაჭრის წყალობა კულიჯანოვის გაძარცვა და 4000 მან. წართმევა. საგანგებო სასამართლომ ბრალდების საბუთში ვერ აღმოაჩინა და ბრალდებულნი გაამართლა.

განცხადებანი.

იყიდება სახლი

მე-9 ნაწილში, რევაზოვის ქუჩა, № 5.
4—2

დრამატიულ საზოგადოების გამგეობ. თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბის შენობაში (სასახლის ქ., № 5), დანიშნულია ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება.

განსახილველი საგნები: 1) ახალ წევრთა მიღება; 2) მოხსენება გამგეობისა; 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4) საზოგადოების გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. (2—75—1).

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ. სიფილ. (ს. 606—914 ს-ლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძე ჰეჟელიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

[illegible]

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩინი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ექიმ-ქირურგი

კ. ტარ. ლორთქიფანიძე

დაბრუნდა ბაქოდან

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაზერეენის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.
(თ.—1918).

ექიმი

ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

გ. ჩანამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

[illegible]

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი დოქტორი მედიცინისა

ბ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

საწყლებს უფასოთ.

იბეჭდება თბილისის პუშკინის სახელობის გიმნაზიის გამოცემა

საქართველოს ისტორია

ეპიზოდიური კურსი 2 და 3 კლასებისთვის რუსულ ენაზე. ნ. ე. სპილიოტის და დ. ი. კასრაძისა. გამოვა 1919 წ. დასაწყისში.

ხელის მოწერის ფასი 6 მანეთი. გამოცემის დაბეჭდვის და გამოსვლის დროს ფასი შეიძლება შეიცვალოს. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 50 პროც. ვინც ბევრ ეკზემპლიარს დაიკვეთს ფასი შეთანხმებით დაეთმობა. ხელის მოწერა მიიღება პუშკინის სახელობის გიმნაზიის კანცელარიაში (ბებუთოვის ქ. № 56 და პუშკინის ქ. № 4). 10—3

ყოფილი „საუფლისწულო მამულის" ღვინოები

(Удѣльныя вина)

გაიხსნა განყოფილება სახელმწიფო სარდაფისა

ტელეფ. № 888. სასახლის ქ. № 5. ტელეფ № 888.

რესტორანების, სასტუმროების და მაღაზიების პატრონები და სხვა მოქალაქენი, გოლოვინის პროსპექტის და ერევნის მოედნის რაიონში მცხოვრებნი, რომელთაც სურთ შეიძინონ **„საუფლისწულო"** მამულის ღვინო **პრეისკურანტის ფასებში,** კეთილ ინებებენ მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით.
12—5

ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა

ამხანაგობა

იღებს გეგმების და ხარჯთ-აღრიცხვების შედგენას, აგრეთვე ყოველგვარ ტეხნიკურ სამუშაოს, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში.

მისამართი: ვერის დაღმართი № 12 ანანოვის სახლი. 1—1939—1

კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 ნახ. საათზე ქართულ კლუბში დანიშნულია დამოუკიდებელთა კავშირის (უპარტიოთა)

საზოგადო კრების გაგრძელება

დღიური წეს რიგი: 1. კავშირის დებულებათა განხილვა, 2. მოხსენება: საქართველოს პარლამენტი და მისი მოქმედება. 3. კავშირის საბჭოს წევრთა არჩევანი.

დასწრება წევრთათვის სავალდებულოა.

წევრობის მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ კრების გახსნამდე.

კავშირის საბჭო.

(1—1941—1)

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამიჯის შესახვევი № 1.